

ევროპის საბჭო

ევროპის მართლმსაჯულების სისტემები

2008 წლის გამოცემა (2006 წლის მონაცემების მიხედვით)  
მართლმსაჯულების ეფექტურობა და ხარისხი

მიმოხილვა

მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია  
(ჩ ქ)

## მართლმსაჯულების ეფექტურობის ეკროპული კომისია

მართლმსაჯულების ეფექტურობის ეკროპულ კომისიას ევროპის საბჭოს მინისტრთა საბჭოს მიერ მინდობილი აქვს უფლებამოსილება ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისათვის მოსახერხებელი კონკრეტული წინადადებების შემუშავების, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მართლმსაჯულების ორგანიზებასთან დაკავშირებული ევროსაბჭოს ინსტრუმენტების ეფექტური დანერგვა, რადგან სასამართლოებთან დაკავშირებულმა საჯარო პოლიტიკამ მხედველობაში მიიღოს სასამართლო სისტემის მომსმარებლების აუცილებლობები და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადატვირთვის თავიდან აცილებას იმ გზით, რომ სახელმწიფოებს შეთავაზოს გზები სასამართლოსათვის მიმართული განცხადებების ეფექტური გადაწყვეტის და მოახდინოს პრევენცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის. დღეისათვის მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია წარმოადგენს უნიკალურ თრგანოს ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის, რომელიც შედგება ევროსაბჭოს 47 წევრი ქვეყნის კვალიფიციური ექსპერტებისაგან, მოწოდებულია უზრუნველყოს სასამართლო სისტემის ეფექტურობა და შეიძუშაოს პრაქტიკული საშუალებები და ღონისძიებები მოქალაქეებისათვის გაწეული მომსახურეობის უფრო მეტად გაუმჯობესებისათვის.

ჩ ჟ გებ. გვერდი წწ. ცოვინტ/ჩ ჟ

შესავალი

2005 წლის მაისის ვარშავის მესამე სამიტის დღის წესრიგის ფარგლებში მიღებულ სამოქმედო გეგმაში ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოსა და მთავრობების მეთაურებმა გამოხატეს თავისი მხარდაჭერა და სურვილი მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის მიერ დადგენილი სასამართლოს სისტემის შეფასების პროცესის გაძლიერების.

მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია წარმოადგენს თავისი ანგარიშის 2008 წლის გამოცემას, რომელიც შედგენილია 2006 წლის მონაცემების მიხედვით<sup>1</sup>. ანგარიში მიღებული იყო მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის მიერ 2008 წლის ივლისში<sup>2</sup>. ანგარიში არის უნიკალური განხილული საკითხებისა და ქვეყნების რაოდენობით. ასეთი ანგარიშები გამოცემული იქნება რეგულარულად, რაც შესაძლებელს გახდის 800 მილიონი ევროპელისათვის მართლმსაჯულების სფეროში გაწეული საჯარო მომსახურების შეფასებას.

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების დიდი დახმარებითა და მხარდაჭერით, გამოყენებული მეთოდოლოგია შესაძლებელს ხდის 45 ევროპული ქვეყნის სასამართლო სისტემის სურათის წარმოდგენას, რომელიც ერთი გამოცემიდან მეორემდე უფრო დეტალური ხდება<sup>3</sup>. გამოიკვეთა საერთო მიმართულებები, ვინაიდან გაზიარებული იყო რეფორმის პროცესი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპულ კომისიას შესაძლებლობა აქვს წარმოადგინოს საკითხის გადაწყვეტის კონკრეტული გზები ევროპაში მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესებისათვის და შეფასებისათვის.

მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია მოუწოდებს პოლიტიკის განმსაზღვრელებს და მკალევარებს ამ უნიკალური ინფორმაციის გამოყენებისაკენ კვლევების განვითარებისათვის და ევროპული დებატებისა და რეფორმებისათვის აუცილებელი შედეგის მიღებისათვის, რომლის აუცილებლობის შეხსენებაც რეგულარულად ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით და წევრ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებით. ამ მდიდარი მონაცემების ბაზით მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებთან ერთად ყველა საკითხის გათვალისწინებით იწყებს სერიას სპეციფიკური მიმართულებების სიღრმისეული ანალიზის, რომელიც ქვეყნდება გამოცემთა სერიაში “ჩ უ შტუდიეს”.

ამ დოკუმენტის მიზანი არის არა ვრცელი ანგარიშის სინთეზი, არამედ ამ ვრცელი ანგარიშის განხილვა ადვილად გასაგები ფორმატით, ვინაიდან მისმა ელემენტებმა განაპირობონ კვლევის გაგრძელების შესაძლებლობა. მიმოხილვაში გრაფიკებს და

<sup>1</sup> ამ გამოცემას წინ უძღვოდა 2004 წლის საქმიანობის საფუძველზე დამყარებული 2006 წლის ანგარიშის გამოცემა

<sup>2</sup> ანგარიში ემყარება პრეექტს, რომელიც მომზადებულია მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ უა-პოლ უანის (საფრანგეთი), ხელმძღვანელობით, შედგენილია ფაუსტო დესანტისის (იბალია, CEPEJ-ის პრეზიდენტი), ელსა გარსია-მალტრას დე ბლასის (ესპანეთი), ბიტა ზ. გრუსზენსკას (პოლონეთი), ადის პოდზიკის (პოლინია და პერცეპოვინა), ჯორჯ სტაგს (ავსტრია), დრაჟენ ტრიპალოს (ხორვატია), ფრანს ვან დერ დოელენის (ნიდერლანდები), მიხაილ ვინოგრადოვის/კონსტანტინ კოსორუკოვის (რუსეთის ფედერაცია) და მეცნიერ ექსპერტის მარტა ზიმოლაგის (პოლონეთი) მიერ

<sup>3</sup> 47 წევრი ქვეყნიდან 45 წევრმა ქვეყანაში მონაწილეობა მიიღო შეფასების პროცესში. მხოლოდ ლიხტენშტეინმა არ გამოიტანა სურვილი ამ ანგარიშისათვის მონაცემების მიწოდების უზრუნველყოფის. სან მარინოს მონაცემები არ იყო მიღებული საჭირო დროს რომ გათვალისწინებული ყოფილიყო ანგარიშში. გაერთიანებული სამეცნიერო მონაცემები დაყოფილია და წარდგენილია ინგლისისა და უელსის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მიხედვით, ვინაიდან სამი სასამართლო სისტემა ორგანიზებულია სხვადასხვა საფუძველზე და საქმიანობას ახორციელებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

ცხრილებს დასკვნის სახით დაერთვის კომენტარები, ეს მეორდება მთელ ანგარიშში, რაც შესაძლებელს ხდის სიღრმისეულ მიღებას ყველა საჭირო მეთოდოლოგიური ელემენტის ზუსტი ანალიზისა და შედარებისადმი (იხილეთ წწწ.ცოე.ინტ/ჩ ქ)

წევრი ქვეყნების მიერ მოწოდებული ყველა მონაცემი ხელმისაწვდომია მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის ვებ-გვერდზე. ეროვნული პასუხები ასევე მოიცავს მართლსაჯულების სისტემის აღწერას და აგრეთვე განმარტებებს, რაც ხელს უწყობს წარმოდგენილი მონაცემების გაგებას. ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მართლსაჯულების სისტემების სწორი მონაცემების ბაზა ადვილად ხელმისაწვდომია მოქალაქეებისათვის, პოლიტიკის განმსაზღვრებისათვის, სამართლებრივი პრაქტიკით დაკავებული პირებისათვის, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისა და მკვლევარებისათვის.

## გაფრთხილება

მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიამ განიხილა მეთოდოლოგიურ პრობლემები, რომელსაც იგი წააწყდა ამ ანგარიშის მომზადებისას, აგრეთვე ამ პრობლემების მოგვარების გზები. მიზანშეწონილია, რომ ამ პრობლემების მუდმივი გათვალისწინებით თავიდან იყოს აცილებული წარმოდგენილი მონაცემების ნააჩქარევი ანალიზი და დაუსაბუთებელი დასკვნების გამოტანა. სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული რაოდენობრივი მონაცემების შედარება უნდა იყოს გადაწყვეტილი სიფრთხილით სხვადასხვა გეოგრაფიული, ეკონომიკური, მართლსაჯულების სისტემის სიტუაციის გათვალისწინებით. სხვადასხვა სახელმწიფოს მართლმსაჯულების სისტემის შედარებისას, აუცილებელია ნათლად იყოს ახსნილი თავისებურებები, რაც ახსნის ერთი ქვეყნის მიღრეკილებებს და განსხვავებებს მეორე ქვეყნის იმავე მაჩვენებლებისაგან (მონაცემების რაოდენობის დონე, სასამართლო სისტემის სხვადასხვა სტრუქტურა, მონაცემების შეგროვება). ანგარიში დეტალური ყურადღება დაეთმო გამოყენებულ წესებს და განსაზღვრას, წარმოდგენილი მონაცემების გამოყენებას, რაც დაკონკრეტული იყო ეროვნული კორესპონდენტების მიერ, ვისაც მინდობილი ჰქონდა ქვეყანაში მონაცემების შეგროვების კოორდინაცია. მარტომდენ ანგარიშის ყურადღებით წაკითხვა და მონაცემების ზუსტი დაკაგშირება გახდის შესაძლებელს სწორი ანალიზის ჩამოყალიბებას და ზუსტი დასკვნის გაკეთებას. არ უნდა მოხდეს მხოლოდ მონაცემების ერთმანეთის მიყოლებით გაცნობა და ეს მონაცემები უნდა განიმარტონ მეთოდოლოგიური შენიშვნებისა და კომენტარების გათვალისწინებით.

ურთიერთშედარება, რაც ამ ანგარიშის საფუძველს წარმოადგენს არ არის დახარისხება უკეთესი ან უარესი მიმართულების ჩვენებით. ანგარიში გაცნობისას თითოეული მკითხველს ხელთ ექნება უამრავი მონაცემი და მეთოდოლოგიურ ელემენტები, რათა უფრო სიღრმისეული შეისწავლოს ამა თუ იმ ქვეყნის თუ ქვეყნების ჯგუფის მართლსაჯულების სისტემის. ეს დაჯგუფება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა კრიტერიუმით - მაგალითისათვის, ის ქვეყნები, სადაც არსებობს სამოქალაქო კანონმდებლობა და საერთო სამართლის ქვეყნები, გარდამავალი ქვეყნები ან ძველი სასამართლო ტრადიციების ძონე ქვეყნები), გეოგრაფიული კრიტერიუმის (სიდიდე, მოსახლეობა) ან ეკონომიკური კრიტერიუმით (მაგალითისათვის, ევრო ზონაში შემავალი ან მის გარეთ მყოფი) გათვალისწინებით. ქვეყნის სიდიდე არის ასევე განმასხვავებელი ელემენტი. ევროსაბჭოს ყველაზე პატარა ქვეყნები (ანდორა, მონაკო) არ შეიძლება იყოს განხილული „100.000 მცხოვრებისათვის“ მასშტაბით. სხვა დამატებითი მეთოდები განისაზღვრება შეფარდების გამოყენებით, როგორიც არის მთლიანი შიდა პროდუქტი და საშუალო მთლიანი ყოველწლიური ხელფასი ერთ სულ მოსახლეზე.

1. საჯარო ხარჯები, განკუთვნილი სასამართლოებისათვის, პროკურატურის სისტემისათვის და იურიდიული დახმარებისათვის


სახელმწიფო ორგანიზაციის მიხედვით არსებობს საერთო ან დაუღვილი თანხები განკუთვნილი სასამართლოებისათვის, პროკურატურის სისტემისათვის და იურიდიული დახმარებისათვის. ეს სამი ელექტრონული დაშორებულია ერთმანეთისაგან რამდენადაც შესაძლებელია, ფულადი სახსრები, განკუთვნილი პროკურატურის და სასამართლოს საქმიანობისათვის (მიუხედავად განსხვავებისა სისტემების ორგანიზაციის შორის) წარმოადგენს მართლმსაჯულებისათვის განკუთვნილ თანხებს. ეს ინფორმაცია მიმოიხილავს ბიუჯეტებს ევროსაბჭოს თითქმის ყველა წევრი ქვეყნის მიხედვით.

ცხრილი 1. საჯარო ბიუჯეტი, განკუთვნილი სასამართლოებისათვის, იურიდიული დახმარებისათვის, პროკურატურის სისტემისათვის 2006 წელს (ევროში)


| ქვეყანა            | მთლიანი ეროვნული ბიუჯეტი განკუთვნილი სასამართლო-ებისთვის პროკურატურის და იურიდიული დახმარების გარეშე | მთლიანი ეროვნული ბიუჯეტი განკუთვნილი იურიდიული დახმარებისთვის | მთლიანი ეროვნული ბიუჯეტი განკუთვნილი პროკურატურის სისტემისთვის | მთლიანი ეროვნული ბიუჯეტი განკუთვნილი სასამართლო-ებისთვის | მთლიანი ეროვნული ბიუჯეტი განკუთვნილი იურიდიული დახმარებისთვის | მთლიანი ეროვნული ბიუჯეტი განკუთვნილი სასამართლო-ებისთვის, პროკურატურის სისტემისთვის |
|--------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------|
| ანდორა             | 5 396 607                                                                                            | 300 000                                                       | 544 858                                                        | 5 696 607                                                | 5 941 464                                                     | 6 241 464                                                                           |
| სომხეთი            | 4 189 496                                                                                            | 129 925                                                       | 4 193 973                                                      | 4 319 421                                                | 8 383 469                                                     | 12 702 890                                                                          |
| ავსტრია            |                                                                                                      | 17 700 000                                                    |                                                                |                                                          | 554 313 000                                                   | 572 013 000                                                                         |
| აზერბაიჯანი        | 11 339 059                                                                                           | 226 484                                                       | 14 812 092                                                     | 11 565 543                                               | 26 151 151                                                    | 26 377 635                                                                          |
| ბელგია             |                                                                                                      | 43 137 000                                                    |                                                                |                                                          | 823 600 000                                                   | 866 737 000                                                                         |
| ბოსნია დერეგია     | 65 293 506                                                                                           | 1 606 129                                                     | 16 144 684                                                     | 66 899 635                                               | 81 438 190                                                    | 83 044 319                                                                          |
| ბულგარეთი          | 64 532 705                                                                                           | 1 804 100                                                     | 29 853 310                                                     | 66 336 805                                               | 94 386 015                                                    | 96 190 115                                                                          |
| ხორვატია           |                                                                                                      |                                                               | 32 241 063                                                     | 206 261 500                                              |                                                               | 238 502 563                                                                         |
| კვიპროსი           |                                                                                                      |                                                               | 12 555 469                                                     | 25 778 787                                               |                                                               | 38 334 256                                                                          |
| ჩეხეთის რესპუბლიკა | 223 477 624                                                                                          | 15 672 575                                                    | 69 619 179                                                     | 239 150 199                                              | 293 096 803                                                   | 308 769 378                                                                         |
| დანია              | 183 000 000                                                                                          | 2 869 941                                                     |                                                                | 185 869 941                                              |                                                               |                                                                                     |
| ესტონეთი           | 24 220 267                                                                                           | 2 567 320                                                     | 7 933 295                                                      | 26 787 587                                               | 32 153 562                                                    | 34 720 882                                                                          |
| ფინეთი             | 221 971 000                                                                                          | 55 105 000                                                    | 31 324 000                                                     | 277 076 000                                              | 253 295 000                                                   | 308 400 000                                                                         |
| საფრანგეთი         | 2 377 000 000                                                                                        | 303 000 000                                                   | 670 000 000                                                    | 2 680 000 000                                            | 3 047 000 000                                                 | 3 350 000 000                                                                       |
| საქართველო         | 11 760 558                                                                                           | 53 000                                                        | 8 000 000                                                      | 11 813 558                                               | 19 760 558                                                    | 19 813 558                                                                          |
| გერმანია           |                                                                                                      | 557 000 000                                                   |                                                                |                                                          | 8 174 000 000                                                 | 8 731 000 000                                                                       |
| საბერძნეთი         |                                                                                                      | 1 700 000                                                     |                                                                |                                                          | 332 875 000                                                   | 334 575 000                                                                         |
| უნგრეთი            | 277 551 019                                                                                          | 198 981                                                       | 116 005 000                                                    | 277 750 000                                              | 393 556 019                                                   | 393 755 000                                                                         |
| ისლანდია           | 12 300 000                                                                                           | 1 500 000                                                     | 4 200 000                                                      | 13 800 000                                               | 16 500 000                                                    | 18 000 000                                                                          |
| ირლანდია           | 81 687 000                                                                                           | 63 600 000                                                    | 30 154 000                                                     | 145 287 000                                              | 81 687 000                                                    | 175 441 000                                                                         |
| იტალია             | 2 665 347 471                                                                                        | 86 562 704                                                    | 1 336 199 023                                                  | 2 751 910 175                                            | 4 001 546 494                                                 | 4 088 109 198                                                                       |
| ლატვია             | 32 416 128                                                                                           | 1 072 771                                                     | 17 113 881                                                     | 33 488 899                                               | 49 530 009                                                    | 50 602 780                                                                          |

| ქვეყანა                                 | მთლიანი კოველწლიური ბიუჯეტი განკუთვნილი სასამართლო-ებისთვის პროგურატურის და იურიდიული დახმარებისთვის | მთლიანი კოველწლიური ბიუჯეტი განკუთვნილი იურიდიული დახმარებისთვის | მთლიანი კოველწლიური ბიუჯეტი განკუთვნილი იურიდიული პროგურატურის სისტემისთვის | მთლიანი კოველწლიური ბიუჯეტი განკუთვნილი სასამართლო-ებისთვის და იურიდიული დახმარებისთვის | მთლიანი კოველწლიური ბიუჯეტი განკუთვნილი სასამართლო-ებისთვის, პროგურატურის სისტემისთვის | მთლიანი კოველწლიური რი ბიუჯეტი განკუთვნილი სასამართლო-ებისთვის, პროგურატურის სისტემისთვის, იურიდიული დახმარებისთვის |
|-----------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ლიბა                                    | 58 150 487                                                                                           | 3 226 245                                                        | 27 638 149                                                                  | 61 376 732                                                                              | 85 788 636                                                                             | 89 014 881                                                                                                          |
| ლუქსემბურგი                             |                                                                                                      | 2 949 983                                                        |                                                                             |                                                                                         | 54 384 465                                                                             | 57 334 448                                                                                                          |
| მალტა                                   | 8 701 000                                                                                            | 15 000                                                           | 2 569 000                                                                   | 8 716 000                                                                               | 11 270 000                                                                             | 11 285 000                                                                                                          |
| მოლდოვა                                 | 3 002 838                                                                                            | 126 614                                                          | 4 135 134                                                                   | 3 129 452                                                                               | 7 137 972                                                                              | 7 264 586                                                                                                           |
| მონაკო                                  | 4 111 500                                                                                            | 220 000                                                          | 1 219 300                                                                   | 4 331 500                                                                               | 5 330 800                                                                              | 5 550 800                                                                                                           |
| მონტენეგრო                              |                                                                                                      |                                                                  | 1 762 362                                                                   | 8 664 682                                                                               |                                                                                        | 10 427 044                                                                                                          |
| ნიდერლანდები                            | 774 368 000                                                                                          | 344 666 748                                                      | 494 335 000                                                                 | 1 119 034 748                                                                           | 1 268 703 000                                                                          | 1 613 369 748                                                                                                       |
| ნორვეგია                                | 175 013 040                                                                                          | 151 635 000                                                      | 12 384 000                                                                  | 326 648 040                                                                             | 187 397 040                                                                            | 339 032 040                                                                                                         |
| პოლონეთი                                | 1 190 027 000                                                                                        | 21 724 000                                                       | 295 928 000                                                                 | 1 211 751 000                                                                           | 1 485 955 000                                                                          | 1 507 679 000                                                                                                       |
| პორტუგალია                              | 506 493 713                                                                                          | 35 829 192                                                       |                                                                             | 542 322 905                                                                             |                                                                                        |                                                                                                                     |
| რუმინეთი                                | 261 911 826                                                                                          | 6 065 759                                                        | 114 927 466                                                                 | 267 977 585                                                                             | 376 839 292                                                                            | 382 905 051                                                                                                         |
| რუსეთის ფედერაცია                       | 2 401 660 110                                                                                        | 85 020 103                                                       | 1 060 382 372                                                               | 2 486 680 213                                                                           | 3 462 042 482                                                                          | 3 547 062 585                                                                                                       |
| სერბეთი                                 | 156 098 339                                                                                          |                                                                  | 13 864 244                                                                  |                                                                                         | 169 962 583                                                                            |                                                                                                                     |
| სლოვაკეთი                               | 108 697 924                                                                                          | 2 779 410                                                        | 39 331 000                                                                  | 111 477 334                                                                             | 148 028 924                                                                            | 150 808 334                                                                                                         |
| სლოვენია                                | 131 981 456                                                                                          | 1 858 859                                                        | 17 893 000                                                                  | 133 840 315                                                                             | 149 874 456                                                                            | 151 733 315                                                                                                         |
| ესპანეთი                                |                                                                                                      | 167 331 526                                                      |                                                                             |                                                                                         |                                                                                        | 2 983 492 000                                                                                                       |
| შვედეთი                                 | 452 000 000                                                                                          | 150 764 128                                                      | 134 529 613                                                                 | 602 764 128                                                                             | 586 529 613                                                                            | 737 293 741                                                                                                         |
| შვეიცარია                               | 626 145 213                                                                                          | 47 203 730                                                       | 175 402 199                                                                 | 673 348 943                                                                             | 801 547 412                                                                            | 848 751 142                                                                                                         |
| მაკედონია                               | 21 341 001                                                                                           | 900 277                                                          | 3 592 283                                                                   | 22 241 278                                                                              | 24 933 284                                                                             | 25 833 561                                                                                                          |
| თურქეთი                                 |                                                                                                      |                                                                  |                                                                             |                                                                                         |                                                                                        | 522 486 876                                                                                                         |
| უკრაინა                                 | 276 961 140                                                                                          | 294 730                                                          | 120 125 950                                                                 | 277 255 870                                                                             | 397 087 090                                                                            | 397 381 820                                                                                                         |
| გაერთიანებული სამეფო-ჩრდილოეთი რეგიონია | 89 229 990                                                                                           | 95 772 010                                                       | 41 600 000                                                                  | 185 002 000                                                                             | 130 829 990                                                                            | 226 602 000                                                                                                         |
| გაერთიანებული სამეფო-შოტლანდია          | 120 852 210                                                                                          | 239 947 427                                                      | 147 511 549                                                                 | 360 799 637                                                                             | 268 363 759                                                                            | 508 311 186                                                                                                         |
| გაერთიანებული სამეფო-ინგლისი და უელსი   | 1 504 095 309                                                                                        | 3 020 104 244                                                    | 819 000 000                                                                 | 4 524 199 553                                                                           | 2 323 095 309                                                                          | 5 343 199 553                                                                                                       |

გრაფიკი 1. მთლიანი საჯარო ბიუჯეტი, განკუთვნილი სასამართლო სისტემისათვის  
(სასამართლოები, პროკურატურა, იურიდიული დახმარება) თითოეული მცხოვრების  
მიხედვით (ერთ სულ მოსახლეზე)



გრაფიკი 2. ბიუჯეტის ფარდობითი განაწილება სასამართლოებს, პროკურატურას, იურიდიულ დასმარებას შორის




ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების უმეტესობაში სასამართლოებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის ოდენობა გაიზარდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. ზრდის მიზეზებს წარმოადგენს პერსონალის ღირებულების ზრდა, დაქირავების უფრო მაღალი ფასები, სასამართლოს შენობების ფუნქციონირება და ომონტი, სასამართლო ოფიციალური განხორციელება. ინფლაცია და ცხოვრების სტანდარტების ზრდა ასევე შეიძლება ჩაითვალოს ბიუჯეტის ზრდის საფუძვლად ზოგიერთ ქვეყანაში.

მოსამართლეებისა და სასამართლო პერსონალის ხელფასი არის მთავარი კომპონენტი ბიუჯეტის. მართლსაჯულების სისტემის ბიუჯეტიდან უფრო ნაკლები ეთმობა სასამართლოს ბიუჯეტს. ინგესტირება სასამართლოს შენობებში სასამართლოს ბიუჯეტის დიდ ნაწილს წარმოადგენს კვიპორსში, ირლანდიაში, საქართველოში და შოტლანდიაში. საზოგადოების კომპიუტერიზაციის ზრდის ფონზე, მოსალოდნელიც იყო რომ სასამართლოებს ინვესტირება მოეხდინათ კომპიუტერულ ტექნიკაში, სასამართლოს საერთო ბიუჯეტიდან დიდი ნაწილი ეთმობა კომპიუტერულ ტექნიკას ნიდერლანდებში, ირლანდიაში, ავსტრიაში, დანიაში, რუმინეთში. ქვეყნების უმეტესობაში არსებობს ბიუჯეტი იურიდიული დახმარებისათვის. ეს ბიუჯეტი სხვადასხვა ქვეყანაში არის ცვალებადი. ნიდერლანდებში, ნორვეგიაში, ირლანდიაში და გაერთიანებულ სამეფოში არის მაღალი ბიუჯეტი იურიდიული დახმარებისათვის. პროკურორის სისტემის ბიუჯეტი მაღალია განსაკუთრებით ცენტრალური და ოფონსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში პროკურორების დიდი რაოდენობა და პროკურორის ორგანიზაციის წესი, განსხვავება პროკურორების უფლებამოსილებებში საფუძველია საბიუჯეტო ვარიაციების.


## 2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

როდესაც იურიდიული დახმარებისათვის განკუთვნილი 2006 წლის საბიუჯეტო მონაცემების შედარება ხელში 2004 წლის მონაცემებთან, ბიუჯეტის დიდი ზრდა (50 %-ზე მეტი 2004 წელთან შედარებით) შეიმჩნევა სომხეთში, ესტონეთში, საბერძნეთში, ლატვიაში, ლიტვაში და რუმინეთში. ბიუჯეტის ზრდა 20%-40%-ის ფარგლებში გამოიკვეთა 11 ქვეყანაში: ანდორაში, ბელგიაში, ჩეხეთში, ისლანდიაში, ირლანდიაში, იტალიაში, პოლონეთში, სლოვაკეთში, ესპანეთში და შვედეთში. ზოგიერთ ამ ქვეყანაში ბიუჯეტის ზრდა აისხება იურიდიული დახმარების სისტემის დანერგვით ან ამ სისტემის გაფართოებით (ესტონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია). ამის საპირისპირო შეიმჩნევა ტენდენცია საბიუჯეტო კომპონენტების სტაბილიზაციის ან იურიდიული დახმარების ბიუჯეტის შემცირების შემდეგ ქვეყნებში: ბოსნია პერცეპოვინა, საქართველო, მალტა, ნიდერლანდები, ნორვეგია. 2004 წლის მსგავსად, განსაკუთრებით მაღალი ბიუჯეტი იურიდიულ დახმარებას ეთმობა ნორვეგიაში, შოტლანდიაში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, ინგლისში და უელსში. ასევე მაღალია ბიუჯეტი ნიდერლანდებში, შვედეთში, ირლანდიაში და ფინეთში. მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში იურიდიული დახმარების ბიუჯეტის გამოაგრიშება სასარგებლო გზაა სახელმწიფოს კეთილდღეობასთან დაკავშირებით, იმ პირების დასახმარებლად, ვისაც არ გააჩნია შესაძლებლობები.

გრაფიკი 3. იურიდიული დახმარების ყოველწლიური ბიუჯეტი მოსახლეობის მიხედვით (ერთ სულ მოსახლეზე) 2006 წელს (ევროში)



გრაფიკი 4. იურიდიული დახმარების შემთხვევების რაოდენობა 10.000 მცხოვრებზე და ცალკეულ საქმეზე იურიდიული დახმარებისათვის გადახდილი თანხების საშუალო რიცხვი 2006 წელს (ევროში)



ზოგიერთი ქვეყანა არჩევს ზუსტად განსაზღვროს შემთხვევების რიცხვი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სამართლებრივი დახმარება, მაგრამ ამისათვის გამოყოს უფრო მეტი თანხები (მაგალითად, რუსეთის ფედერაცია, იტალია), მაშინ როდესაც სხვა სახელმწიფოები არჩევენ შეზღუდონ ცალკეულ შემთხვევაზე გამოყოფილი თანხა მაგრამ იურიდიული დახმარების პირობები გააფართოვონ (მაგალითად, ბელგია, საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი). სხვა სახელმწიფოები არიან დიდულოვანი ცალკეული შემთხვევის დაფინანსების და იმ საქმეების რაოდენობის განსაზღვრისას, რომელზეც გათვალისწინებულია იურიდიული დახმარება (გაერთიანებული სამეფო ჩრდილოეთი ირლანდია, გაერთიანებული სამეფო ინგლისი, უელსი, ნიდერლანდები). იურიდიული დახმარებისათვის გათვალისწინებული ბიუჯეტი ამ ქვეყნებში იზრდება.

### 3. პირები, რომლებიც მიმართავენ სასამართლოებს (უფლებები და საზოგადოების ნდობა)


დაზარალებული პირების დაცვა

სპეციალური მექანიზმები შეიძლება იყოს გამოყენებული სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს ასეთი პირების სამართლებრივი უფლებების დაცვის გასაძლიერებლად (სატელეფონო ცხელი ხაზი, ინტერნეტ გვერდი, ბროშურები, ა.შ.), მაგალითად, სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისათვის სხვადასხვა მოსმენის პროცედურის არსებობა (უმცირესობის ან სხვა მსხვერპლისათვის შეიძლება ჩატარდეს დახურული სასამართლოს სხდომა), ეთნიკური უმცირესობისათვის ეს შეიძლება გამოიხატოს სასამართლოს თარჯიმნების მოწვევაში და მათ მშობლიურ ენაზე საუბრის თავისუფლებაში.

ცხრილი 2. დაზარალებული პირების კატეგორიებთან დაკავშირებით სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს სპეციალურ საკითხებთან დაკავშირებული დადგებითი პასუხების რაოდენობა

| კატეგორია<br>დაზარალებული<br>პირების | საინფორმაცი<br>ო მექანიზმი | მოსმენებ<br>ი | საპროცეს<br>ო უფლებები | სხვა |
|--------------------------------------|----------------------------|---------------|------------------------|------|
| ძალადობის მსხვერპლი                  | 22                         | 35            | 26                     | 10   |
| ტერორიზმის მსხვერპლი                 | 14                         | 23            | 19                     | 5    |
| ბავშვები/თვითმხილველები              | 28                         | 45            | 39                     | 10   |
| ოჯახური ძალადობის მსხვერპლი          | 23                         | 30            | 27                     | 13   |
| ეთნიკური უმცირესობები                | 16                         | 20            | 14                     | 5    |
| უუნაროდ ქცეული პირები                | 15                         | 32            | 20                     | 10   |
| არასრულწლოვანი დამნაშავეები          | 22                         | 36            | 41                     | 10   |
| სხვა                                 | 4                          | 6             | 7                      | 3    |

გრაფიკი 5. სპეციალური საკითხები დაზარალებული პირებისათვის და მსხვერპლისთვის, მექანიზმის ტიპის მიხედვით




#### 4. სასამართლოები

ამ ნაწილში ხელმისაწვდომია ძირითადი ფაქტები ევროპაში სასამართლოების ორგანიზაციისთან დაკავშირებით. არსებობს განსხვავებები სასამართლოებს (საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოები), სასამართლოს გეოგრაფიულ მდებარეობას და სპეციალიზებულ პირველი ინსტანციის სასამართლოს შორის.

სასამართლოები იდებენ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ამოცანების შესახებ კომპაქტენციის მიხედვით, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული კანონმდებლობის მიხედვით. შემთხვევების უმრავლესობის დროს სასამართლოები არიან პასუხისმგებელი სისხლის და სამოქალაქო საქმეების განხილვაზე, შესაძლებელია ადმინისტრაციულ საქმეებზეც. ადმინისტრაციულ სამართლებრივი დავები მიეკუთვნება საერთო იურისდიქციის სასამართლოებს (მაგალითად ნიდერლანდებში) ან სპეციალიზებულ ადმინისტრაციულ სასამართლოებს (მაგალითად საფრანგეთში). სასამართლოებს შეიძლება გააჩნდეთ პასუხისმგებლობა სარეგისტრაციო მომსახურეობაზე, სასამართლოებს შეიძლება გააჩნდეთ მიწის სარეგისტრაციო სპეციალური დეპარტამენტები, ბიზნესის, სამოქალაქო მდგრადირების რეგისტრაციის (დაბადება, ქორწინება ა.შ.) ფუნქციები. ამ ვარიანტებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეცვალონ სასამართლოების სამუშაო დატვირთვა.

#### გრაფიკი 6. სასამართლოების მდებარეობა 100. 000 მცხოვრების მიხედვით 2006 წელს



არსებობს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სასამართლო რეფორმის პროგრამის ფარგლებში სასამართლოების რიცხვი (მდებარეობის მიხედვით) შემცირდა, მირითადად პატარა ზომის სასამართლები გაუქმდა და გაერთიანდა სხვა სასამართლოებთან. ეს არის გატარებული ეფექტური ღონისძიებების ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ ევროპულ ქვეყნებში გაიზარდა სასამართლოებში სპეციალიზაციის ტენდენცია. მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია იზიარებს სასამართლოების სპეციალიზაციის მნიშვნელობას მართლმსაჯულების ეფექტურობის გაზრდის საქმეში, ასევე მის ადაპტაციაში საზოგადოების განვითარების მიხედვით, მაგრამ

ამ პროგრესში არ უნდა გამოიწვიოს უწესრიგობა, იურისდიქციის კონფლიქტი ან ჰქონდეს გავლენა მართლმსაჯულების მომხმარებლებზე სასამართლოს ხარჯების გზით.

სასამართლოების მუშაობისადმი პატივისცემის გათვალისწინებით, არსებობს შეფასების მაჩვენებლების გამოყენების რაციონალიზაციის და ზრდის ტენდენცია. გამომდინარე იქიდან, რომ გაიზარდა ანგარიშვალდებულების საჭიროება, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მზარდი შესაძლებლობების შესაბამისად (განსაკუთრებით სასამართლოს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა), უფრო დიდი უურადება ეთმობა პროცესუალური მონაცემების შეგროვებას. რაც არ არის გასაგები, ეს არის ხარისხი მონაცემების და ინფორმაციის მოცულობა, რომელიც სისტემატურად უნდა იყოს შეგროვებული სასამართლო პროცესის შესახებ. მეტი ანგარიშვალდებულება და სასამართლოების ფუნქციონირების რაციონალიზაცია ასევე შეიძლება იყოს საგანი „ხარისხის პოლიტიკის“. ქვეყნების უმეტესობის პასუხების მიხედვით, ხარისხის მაჩვენებლები არის განსაზღვრული და ხდება მათი გამოყენება. მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანაში არსებობს სასამართლოების ხარისხის კონტროლის ინტეგრირებული სისტემა.

### მცირე დავების გადაწყვეტის მეთოდი

„სასამართლო რუკის“ საკითხი, დაკავშირებული სასამართლოების გეოგრაფიულ მდებარეობასთან, დამოკიდებულია ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობაზე და კომუნიკაციების განვითარებაზე. იმისათვის, რომ უკეთესად იყოს უზრუნველყოფილი სასამართლოს მომხმარებლისათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობა, არსებობს „მცირე დავების“ ცნება, რომლის განსაზღვრება დამოკიდებულია ქვეყანაზე, გაანალიზებულია და იძლევა ასენის საშუალებას გამარტივებული პროცედურების შესახებ ასეთი საქმის განსახილველად. მცირე მოთხოვნების განხილვა წარმოადგენს სპეციალური ტრიბუნალების კომპეტენციას (მაგალითად, მუნიციპალური სასამართლო), სპეციალიზებული მოსამართლეების (როგორებიც არის მომრიგებელი მოსამართლეები) ან საერთო კომპეტენციის პირველი ინსტანციის სასამართლოს რომელიმე ნაწილის. განსაზღვრული რაოდენობა სასამართლოების, რომელთაც გააჩნიათ კომპეტენცია მცირე საქმეების განხილვის, არსებობს ავსტრიაში, ბელგიაში, ხორვატიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, რუსიმეთში, რუსეთის ფედერაციაში, ესპანეთში, შვეიცარიაში, თურქეთში და გაერთიანებულ სამეფოში ინგლისში და უელსში.


### საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სასამართლოში

ქვეყნების უმრავლესობის სასამართლოებში კომპიუტერული ტექნიკა უწევს დახმარებას მოსამართლეებს და სასამართლოს თანამშრომლებს. ნაკლებად გამოყენებადია საქმეების რეგისტრაციის სისტემა, სასამართლოს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა და საფინანსო ინფორმაციის სისტემა. გამოყენების ბოლო სფერო არის ურთიერთობა სასამართლოებს შორის, სამართლებრივი სფეროს პროფესიონალებსა და (პოტენციურ) სასამართლოს მომხმარებლებს შორის. თოთხმეტ ქვეყანაში სასამართლოებს გააჩნიათ სპეციალური ვებ. გვერდი. თერთმეტ ქვეყანაში შეიძლება ყველა სასამართლოს ელექტრონული ფორმების ჩამოტვირთვა. შესაძლებელია ჩვენება კომპიუტერული ტექნოლოგიის იმპლემენტაციის დონის მოსამართლეების და სხვა თანამშრომლების საქმიანობაში დახმარებისას. ქვეყნები იმპლემენტაციის მაღალი და ძალიან მაღალი დონით შეფერილია ფორმობლისფრად (ოთხი კომპიუტერული სიმბოლო) ან ყვითლად (სამი კომპიუტერული სიმბოლო).

ცხრილი 3. ქვეყნების კლასიფიკაცია სასამართლოების კომპიუტერიზაციის დონის მიხედვით გამოყენების სამ სფეროში.

| ძალიან მაღალი<br>დონე<br>კომპიუტერიზაციის<br>>39 პუნქტი | მაღალი დონე<br>კომპიუტერიზაციის<br>(32-38) | საშუალო დონე<br>კომპიუტერიზაციის<br>(26-31) | დაბალი დონე<br>კომპიუტერიზაციის<br>(25-ზე ნაკლები) |
|---------------------------------------------------------|--------------------------------------------|---------------------------------------------|----------------------------------------------------|
| ავსტრია                                                 | ჩეხეთის<br>რესპუბლიკა                      | ბელგია                                      | კვიპროსი                                           |
| დანია                                                   | რუმინეთი                                   | იტალია                                      | უკრაინა                                            |
